პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 1943 წ. № 199 (6824). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ცენტრალური ფრონტის ჯარებმა, რომელნიც სწრაფ შეტევას განაგრძობდნენ, წარმატებით გადალახეს მდინარე **დესნა** და მარჯვე შემოვლითი მანევრით 3 დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დღეს, 21 სექტემბერს, იერიშით დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი—ქალაქი **ჩერნიგოვი**—გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **დესნის** ქვემოწელში.

ამრიგად, გერმანელთა თავდაცვა, რომელიც მათ მდინარე **დესნის** დასავლეთ ნაპირზე მოამზადეს, დაძლეულია ჩვენი ჯარების მიერ მთელ ამ მდინარეზე და გერმანელთა გეგმა—შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების შეტევა მდინარე **დესნის** ზღუდეზე—ჩაფუშულად უნდა ჩაითვალოს.

მდინარე **დესნის** გადალახვისას და ქალაქ **ჩერნიგოვის** დასაკავებლად წარმოებულ ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-ლეიტენანტ **პუხოვის**, გენერალ-მაიორ **ნეჩაევის**, გენერალ-ლეიტენანტ **ბოლდარევის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რუდენკოს** მფრინავებმა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი:

გენერალ-მაიორ **მიშჩენკოს** 148-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **სარაევის** სტალინგრადის ლენინის ორდენოსანმა 181-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **მახლინოვსკის** 211-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ასკალეპოვის** გვარდიის 77-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კირსანოვის** გვარდიის 76-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბელოვის** გვარდიის მე-16 ცხენოსანმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **პეტრუშინის** 129-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ფედოროვის** 874-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **გლადკის** 476-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ოსტროგლაზოვის** 1287-ე საზენიტო საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **კომაროვის** გვარდიის მე-2 მოიერიშე საავიაციო დივიზიამ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს — 148-ე მსროლელ დივიზიას, 211-ე მსროლელ დივიზიას, გვარდიის 77-ე მსროლელ დივიზიას, გვარდიის 76-ე მსროლელ დივიზიას, გვარდიის მე-16 ცხენოსან დივიზიას, 129-ე სატანკო ბრიგადას, 874-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს, 476-ე ნაღმმტყორცნელ პოლკს, 1287-ე საზენიტო საარტილერიო პოლკს და გვარდიის მე-2 მოიერიშე საავიაციო დივიზიას, რომლებმაც თავი ისახელეს მდინარე **დესნის** გადალახვისას და ქალაქ **ჩერნიგოვის** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ჩერნიგოვის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ჩერნიგოვის 148-ე მსროლელი დივიზია,
ჩერნიგოვის 211-ე მსროლელი დივიზია,
ჩერნიგოვის გვარდიის 77-ე მსროლელი დივიზია,
ჩერნიგოვის გვარდიის 76-ე მსროლელი დივიზია,
ჩერნიგოვის გვარდიის მე-16 ცხენოსანი დივიზია,
ჩერნიგოვის 129-ე სატანკო ბრიგადა,
ჩერნიგოვის 874-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ჩერნიგოვის 476-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
ჩერნიგოვის 1287-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი,
ჩერნიგოვის გვარდიის მე-2 მოიერიშე საავიაციო დივიზია.

სტალინგრადის 181-ე ლენინის ორდენოსანი მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორეჯერ ისახელა თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, წარდგენილ იქნას წითელი დროშის ორდენით დასაჯილდოებლად.

მდინარე **დესნის** წარმატებით გადალახვისათვის იმ შენაერთებისა და ნაწილების მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარდგენილ იქნან სუვოროვის ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 21 სექტემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც წარმატებით გადალახეს მდინარე **დესნა** და გაათავისუფლეს ქალაქი **ჩერნიგოვი**—ასოცდათხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ მდინარე **დესნის** გადალახვისას და ქალაქ **ჩერნიგოვის** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 21 სექტემბერი.

გვარდიის გენერალ-მაიორ ჰ. გ. ჩანჩიბაძის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციებს უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის გენერლების და ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **კუტუზოვის II ხარისხის** ორდენით დაჯილდოებულია გვარდიის გენერალ-მაიორი პორფილე გიორგის-ძე **ჩანჩიბაძე.**

გენერალ-მაიორ მ. ე. როსტომაშვილის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია გენერალ-მაიორი ნიხეილ ენუქის-ძე **როსტომაშვილი.**

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **პაპიჯანოვი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — ლეიტენანტი
2. **სვანაძე** გიორგი ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
3. **ხახნელიძე** შალვა სამსონის-ძე — უფროსი ლეიტენანტი.

მედლით „მამაცობისათვის“

1. **ქანთელაძე** რომან სოკრატის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
2. **ტოლკაჩევი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
3. **უმალიშვილი** გიორგი ზაქარიას-ძე — უფროსი ლეიტენანტი
4. **ჩინჩალაძე** მიხეილ ამბაკოს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
5. **ჭელიძე** ლევან მიხეილის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
6. **ცერცვაძე** ვარლამ ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. **კანდელაკი** არჩილ იოსების-ძე — უფროსი ლეიტენანტი
2. **კოკნაძე** გრიგოლ ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
3. **ქოზაიები** დმიტრი გრიგოლის-ძე — სამხედრო ფერშალი
4. **კოსტავა** სარდიონ ეპიფანეს-ძე — უფროსი სერჟანტი
5. **კლდიაშვილი** გრიგოლ ანდრიას-ძე — წითელარმიელი
6. **კოხენკო** ანა კუზმას-ასული — უფროსი სერჟანტი
7. **ლოთაშვილი** კონსტანტინე მიხეილის-ძე — ზემდეგი
8. **მოწონელიძე** გრიგოლ გარსევანის-ძე — უფროსი სერჟანტი
9. **ნადარეიშვილი** შოთა მელიტონის-ძე — ლეიტენანტი
10. **რუსაკოვა** დინა ონისიმეს-ასული — უფროსი სერჟანტი
11. **ჭეიშვილი** ლევან ბარნაბის-ძე — უმცროსი ლეიტენანტი
12. **წიკორიძე** ავთანდილ პავლეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი.

სახაზო გემის სახელოვანი წლისთავი

შავი ზღვის მოქმედი ფლოტი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სახაზო გემს „სევასტოპოლს“ 19 სექტემბერს ბევრი სტუმარი ეწვია. რათა მის ეკიპაჟთან ერთად იდღესასწაულონ ღირსშესანიშნავი თარიღი.

დილის 8 საათზე. ალამი აღმართულია. მწყობრიგებად დგანან გემის წითელფლოტელები, ზემდეგები და ოფიცრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამბ. მ. პაპიანმა ვიცე-ადმირალ ბასისტის და გემის მეთაურის თანხლებით ჩამოუარა მეზღვაურთა რიგებს.

იწყება მიტინგი. პირველი გამოდის სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამბ. მ. პაპიანი. იგი ულოცავს გემის პირად შემადგენლობას სახელოვან წლისთავს. ამბ. პაპიანის სიტყვის დასასრულს ჯილს გემზე გაისმის მქუხარე „ვაშა“ საბჭოთა კავშირი, მარშალის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად

შემდეგ მიტინგზე გამოვიდა ამხ. ვოზნი.

— ჩვენი დღესასწაული, — ამბობს ამხ. ვოზნი, — დაემთხვა საბჭოთა ქვეყნის დიდ დღესასწაულს. ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლები მოგველის. პირობას ვაძლევთ საბჭოთა ხალხს, ჩვენს პარტიას, დიდ სტალინს, რომ ჩვენს საბრძოლო ალამს გავატარებთ ყველა ქარიშხალსა და გრიგალში და მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას ფერმანელ დამპყრობლებზე.

მიტინგზე გამოვიდნენ ავრეთვე წითელფლოტელები ნ. ბარანოვი, ს. მანუკიანი, მე

უდანაკარგოდ ავიღოთ შაქრის ჭარხლის მოსავალი

ძიდეკ რამდენიმე დღე და შაქრის ჭარხლის მასობრივად აღება დაიწყება. ჭარხლის მოსავალი რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები დიდი სამუშაოების წინაშე დგანან. ამოცანა ის არის, რომ უდანაკარგოდ ავიღოთ შაქრის, ჭარხლის მოსავალი, მთლიანად შეეასრულოთ დამზადების გეგმები. მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად მოემზადნენ ჭარხლის უდანაკარგოდ აღებისათვის. შედგენილი აქვთ ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის 5-დღიური დავალება, ტრანსპორტი სრულ წესრიგში მოიყვანეს, პლანტაციებში დაწესებულია კოლმეურნეობა სადღეღამისო მორიგეობა ჭარხლის მოსავლის დასაცავად. მაგრამ ადგილებიდან მოსული სიგნალები მოწმობენ, რომ ჭარხლის უდანაკარგოდ აღების საქმეში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. ყველაფერი არ არის გაკეთებული შაქრის ჭარხლის თავის დროზე აღებისა, გადაზიდვისა და გადამუშავებისათვის. ყველა კოლმეურნეობაში როდი არის შედგენილი შაქრის ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის კალენდარული გეგმა, მთელი რიგი საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები უზრუნველყოფილი არ არიან სასწორებით, არ არის დამთავრებული გზების, ხიდების რემონტი, აგრეთვე ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებთან მისასვლელების შეკეთება.

ნედლეულის გადამუშავებისათვის ყოველმხრივ მომზადებული არ არის აგარის შაქრის ქარხანა. გზ. „კომუნისტის“ 19 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია „აგარის შაქრის ქარხანა ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდეს სეზონს“. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ქარხანა უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური კადრებით, მას დიდი რაოდენობით სჭირდება სეზონური მუშა-ხელი. ჭარხლის მიმღები პუნქტები დღემდე დაკომპლექტებული არ არიან საჭირო მუშაკებით.

მეჭარხლეობის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმეო-მექანიკურ ორგანიზაციებმა, დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, კერძოდ, აგარის შაქრის ქარხანამ და მისმა დირექტორმა ამხ. ხოფერიამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რომ ჭარხლის მოსავალმა მათ მოუმზადებელ, არ მოესწროს. ხაშურის, გორის, ქარელის, ჯასპის, ბორჩალოს რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი უნდა დაეხმარონ აგარის შაქრის ქარხანას საჭირო რაოდენობის მუშახელის გამოყოფით. ახლა, როდესაც ჭარხლის ამოღება იწყება, ამ სამუშაოს გაჭიანურება შეუწყნარებელია.

ყოველ კოლმეურნეობას შედგენილი და დამტკიცებული უნდა ჰქონდეს შაქრის ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის 5-დღიური გრაფიკი. ყველა კოლმეურნე უნდა იცნობდეს ხუთდღიურ დავალებას. მთელი მუშაობა წარმართოთ ისე, რომ აგარის შაქრის ქარხნის ამუშავების დასაწყისისათვის ქარხნის ტრიტორიაზე იყოს ჭარხლის სულ მცირე 5 დღის მარაგი. ხოლო შემდეგ უზრუნველყოთ ქარხნის შეუფერხებელი დაბინავებულია.

დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 1 ივლისისათვის, საკოლმეურნეო ფერმები ბეჯითად იბრძვიან ნამატის შენარჩუნებისათვის და ამ მხრივ ბევრ მათგანს კარგი მიღწევები აქვს. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად და საზამთრო ბინების მოსამზადებლად.

კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები უდიდესი სეროზულობით ეკიდებიან სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას. დავალებანი ამ მხრივ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ძირითადად შესრულებულია.

წელს რაიონში უნდა დამზადდეს 2 100 ტონა ყურძენი. პინოს ჯიშის ყურძნის კრეფა დაიწყო. ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

რაიონში მთელი რიგი კოლმეურნეობები საკმაოდ გაძლიერდნენ. სოფ. ლეღვნის ტეირითვა ჭარხლით. უნდა დავაწესოთ სასტიკი კონტროლი ხუთდღიური გრაფიკის განუხრელად შესრულებაზე.

საჭიროა სამხედრო ტემპებით გავაჩაღოთ და ერთი დეკადის განმავლობაში დავამთავროთ ჭარხლის გამოსაზიდი ადგილებიდან დამამზადებელ პუნქტებზე მისასვლელი გზების, ხიდების რემონტი. რაისაბჭოების აღმასკომებისაგან ეს სამუშაო მეტ ხელმძღვანელობასა და დახმარებას მოითხოვს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებში სპეციალური სატრანსპორტო ბრიგადების შექმნას პლანტაციიდან ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში გადასაზიდად. ტრანსპორტის საკითხის მოგვარება შესაძლებლობას მოგვცემს თავის დროზე გავზიდოთ ამოღებული ჭარხალი მიმღებ პუნქტებში. საბრძოლო ამოცანაა უზრუნველვყოთ ამოღებული ჭარხლის მიზიდვა პუნქტებში არა უგვიანეს მისი ამოღების მეორე დღისა.

ჭარხლის მიმღებმა პუნქტებმა სანიმუშოდ უნდა მოაწყონ მუშაობა. დამამზადებელი აპარატის მუშაკები ამას მაშინ უზრუნველყოფენ, თუ სწრაფად მოაწყობენ კოლმეურნეობებიდან მიღებული ნედლეულის მიღებას, ურიგებიდან მის დაცლას, ჭარხლის აწონისა და კოლმეურნეობებზე გასაცემი დოკუმენტების სწორად გაფორმებას. ამისათვის საჭიროა ყველა მიმღები პუნქტი დროულად დავაკომპლექტოთ კვალიფიციური, შემოწმებული მუშაკებით, უზრუნველვყოთ პუნქტები სასწორებითა და სხვა საჭირო ინვენტარით.

ორგანიზებულად უნდა მოვაწყოთ შაქრის ჭარხლის მოსავლის დაცვა. სწორად იქცევიან მოწინავე კოლმეურნეობები, რომელთაც დაწესებული აქვთ სადღეღამისო მორიგეობა ჭარხლის პლანტაციებში. ყველა კოლმეურნეობა ვალდებულია გაუფრთხილდეს თითოეულ ძირ ჭარხალს, და საუკეთესოდ მოაწყოს მისი დაცვა. ჭარხლის დაცვაზე გაძლიერებული მეთვალყურეობა უნდა დავაწესოთ აგრეთვე მისი გადაზიდვისას დამამზადებელ პუნქტებში.

გმირი წითელი არმია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამარადგურებელ დარტყმებს აგებენ გერმანელ ფაშისტთა არმიის. ამხანაგ სტალინის ბრძანებებთა და წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებული საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას და ზურგში დაუღალავი შრომით სჯედენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას. სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საქართველო ცნობილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად. კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში, სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებასთან ერთად სწრაფად, უდანაკარგოდ ავიღოთ ჭარხლის მოსავალი, მთლიანად შევასრულოთ შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმები. მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი შაქარი.

მივცეთ ქვეყანასა და ფრონტს კვების მეტი პროდუქტები

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეება, აღფრთოვანებულნი სამამულო ომის ფრონტებზე გმირი წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლით, მეომრის თავდადებით მუშაობენ უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად, ფრონტისათვის სულ უფრო და უფრო მეტი დახმარების გასაწევად. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. თავთავიანი მარცვლეული კულტურები რაიონის კოლმეურნეობებს დათესილი ჰქონდათ 550 ჰექტარზე. ახლა მოსავალი მთლიანად არის აღებული უდანაკარგოდ და დაბინავებულია.

დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 1 ივლისისათვის, საკოლმეურნეო ფერმები ბეჯითად იბრძვიან ნამატის შენარჩუნებისათვის და ამ მხრივ ბევრ მათგანს კარგი მიღწევები აქვს. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად და საზამთრო ბინების მოსამზადებლად.

კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები უდიდესი სეროზულობით ეკიდებიან სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას. დავალებანი ამ მხრივ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ძირითადად შესრულებულია.

ნედლეულის გადამუშავებისათვის ყოველმხრივ მომზადებული არ არის აგარის შაქრის ქარხანა. გზ. „კომუნისტის“ 19 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია „აგარის შაქრის ქარხანა ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდეს სეზონს“. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ქარხანა უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური კადრებით, მას დიდი რაოდენობით სჭირდება სეზონური მუშა-ხელი. ჭარხლის მიმღები პუნქტები დღემდე დაკომპლექტებული არ არიან საჭირო მუშაკებით.

ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ფართოდ განავითარა მეფუტკრეობა, რაც მას წლიურად 300.000 მანეთ შემოსავალს აძლევს. აქვე ხელი მიჰყვეს თამბაქოს კულტურის განვითარებას, რაც აძლევს 100.000 მანეთ შემოსავალს. ამრიგად, თუ კოლმეურნეობის სხვა შემოსავალსაც გავითვალისწინებთ (მეცხოველეობის პროდუქტების, ხილის, ყურძნის რეალიზაცია და სხვ.), რეალური შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ეს კოლმეურნეობა მილიონერი გახდეს.

ასევე სოფ. ფარცხნალის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ლ. გელაშვილი) სიმინდისა და ვენახის კულტურებთან ერთად წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას. კოლმეურნეობაში არის 5 სახის ფერმა: მესაქონლეობის, მეთხეობის, მეღორეობის, მექათმეობისა და მეფუტკრეობის. მარტო მეღორეობის ფერმიდან კოლმეურნეობის შემოსავალი 70.000 მანეთს უდრის. ეს კოლმეურნეობაც იბრძვის, რომ მილიონერი გახდეს.

ორჯონიკიძის რაიონი ცნობილია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშების მიღების კანდიდატად. ახლა ამოცანა ის არის, რომ გამოვასწოროთ ცალკეული ნაკლოვანებანი, წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი და მით მოვიპოვოთ პირველობა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ზ. კიკნაძე

ხაქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი.

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

უყაირათობისა და დაუდევრობისათვის

გზ. „კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი კასპის რაიონის სოფ. ყარაღაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. მალიანცის უყაირათო მუშაობის შესახებ. აღნიშნულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით ხაქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ქველაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. გამოირკვა აგრეთვე, რომ მალიანცის უხეირო მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში შეუწყნარებლივ გაჭიანურდა საშემოდგომო ხვნა და თესლის მომზადება. ეს საკითხი განიხილეს ხაქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა. სოფ. ყარაღაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ მალიანცი მოხსნილია სამუშაოდან. პარტრაიკომის ბიურო განიხილავს საკითხს მისთვის პარტიული სასჯელის დადების შესახებ.



ჭვემეხის მეთაური, ზემდეგი ვ. ნ. ბოლქვაძე, გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლების მონაწილე, საბრძოლო და სპეციალური მომზადების ფრიადოსანი.

ნახ. პ. ზუბარევისა

ქართველი ნაღმმჯყორცნელები ქარაჩოვისათვის ბრძოლაში

ქ. კარაჩოვისა და რკინიგზისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს ქართველმა მებრძოლებმა. აქ ბრწყინვალედ მოქმედებს უფროს ლეიტენანტ ბოჩკარიოვის ქვეგანყოფი, რომელშიც იბრძვის მზიური საქართველოს ხუთი სახელოვანი შვილი სერეანტ ქიტა სულიკაშვილის მეთაურობით. სულიკაშვილის გუნდში შედიან მემიზნე დავით კიკვიძე, წითელარმიელები შაქრო იაგანაშვილი, შოთა ოდიშარია და არტამონ ნიკოლავა. ქ. კარაჩოვის მისადგომებთან გერმანელები მაღლობზე გამაგრდნენ და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი. მაღლობისათვის ბრძოლ სერიოზული ხასიათი მიიღო. გერმანელები ცდილობდნენ არ დაეთმოთ მაღლობი. მაგრამ საბჭოთა იარაღისა და წითელი არმიის ძლიერ და კომბინირებულ დარტყმას გერმანელებმა ვერ გაძლეს და იწყეს უწესრიგოდ უკან დახევა.

ჩვენს ქვეგანყოფს მოცემული ჰქონდა ამოცანა მარცხენა ფრთაზე გაენადგურებინა გერმანელთა საცეცხლე წერტები და დაზგის ტყვიამფრქვევი, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს მსროლელთა წინსვლას. სერეანტმა სულიკაშვილმა მიიღო ამოცანა და შეუდგა შესრულებას. ამისათვის მან გულდასმით შეარჩია საცეცხლე პოზიცია და თანაც შენიღბა ნაღმსატყორცნი, რომ მტერს ადგილად ვერ აღმოეჩინა იგი. ამის შედეგად გუნდმა პირნათლად შეასრულა მიცემული ამოცანა, განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები, რითაც ნაწილს საშუალება მიეცა წინ წაწეულიყო.

საღამოს ჩვენი მებრძოლები შეტევაზე გადავიდნენ ტანკებისა და არტილერიის დახმარებით. გერმანელები განდევნილ იქნენ. ჩვენებმა განაგრძეს შეტევა ქ. კარაჩოვზე. მეორე დღეს გაცხარებული ბრძოლების შედეგად ხელიდან გამოვგლიჯეთ მტერს ქ. კარაჩოვი. კარაჩოვისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეგანყოფიდან თავი ისახელა ამხ. სულიკაშვილის გუნდმა ხუთი ქართველის შემადგენლობით, რომლებმაც შეპფიცეს ერთმანეთს, რომ ურტყან მტერს სანამ იგი არ იქნება აღგვილი პირისაგან მიწისა.

საბრძოლო დავალების პირნათლად შესრულებისა და მამაცური მოქმედებისათვის აღნიშნული ამხანაგები წარდგენილი არიან ჯილდოზე.

ზემდეგი დ. ვ. მამალაძე

მოქმედი არმია.

ბრიანსკისათვის ბრძოლაში

გაზეთ „იზვესტიის“ 18 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია სპეციალურ კორესპონდენტ ა. ბულგაკოვის წერილი სათაურით „ბრიანსკი, 17 სექტემბერი“. კორესპონდენტი ასწერს ბრიანსკის განთავისუფლების მთავარ მომენტებს.

„ჩვენმა ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ბეჟიცასთან და მიადგნენ ბრიანსკს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან.. ამავე დროს მებრძოლთა და მეთაურთა პირველმა მოიერიშე ჯგუფებმა ისარგებლეს ღამის წყვდიადით და გადალახეს დესნა ქალაქ ბრიანსკთან.

მსროლელთა ქვეგანაყოფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა რემიზოვმა თავის მებრძოლებთან ერთად იარაღით ხელში გადასცურა დესნა და პირველი შეეფინა ქალაქში. მასთან ერთად მდინარე გადასცურეს და ქუჩებში ბრძოლა გააჩაღეს უმცროსმა ლეიტენანტმა სმირნოვმა, ლეიტენანტმა გლუხოვმა, ზემდეგმა სიმონიანმა, უმცროსმა სერეანტმა სოკოლოვმა, მებრძოლებმა ბაგარაშვილმა, იბრაგიმოვმა, ტურსუნოვმა, შარმაგოვმა, ესკორაევმა, დროვნინმა და ხამროხოჯაევმა“.

ფრონტისა და ზურგის მჯიღი კავშირი

ამას წინათ ხაქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომლებმა ფრონტიდან მიიღეს წერილი, რომელსაც ხელს აწერდა სიონაღის რაიონის სოფ. ულიანოვკის კოლმეურნეობის წევრი, ამჟამად სამამულო ომის მონაწილე მებრძოლი ივანე ვასილის-ძე კარაევი. ამხ. კარაევი მოუთხრობს მათ იმ ბრძოლების შესახებ, რომლებშიც მან მიიღო მონაწილეობა ქ. ორჯონიკიძის, მისადგომებიდან ბაზოის ზღვამდე, იმ სამნილ მხეცობაზე, რასაც გერმანელები სჩადიოდნენ მათ მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში, და პირობას აძლევს კვლავაც მედგრად იბრძოლოს საზიზღარი მტრის წინააღმდეგ. დასასრულ ამხ. კარაევი სთხოვს ამხანაგებს უუფრადღებოდ არ დასტოვონ მისი ოჯახი სოფ. ულიანოვკაში.

ხაქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომლებმა საერთო კრებაზე განიხილეს ამხ. კარაევის წერილი და გადასწყვიტეს შეემოწმებინათ მისი ოჯახის მდგომარეობა. შემოწმების შემდეგ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომელთა დავალებით ამხ. ღლონტმა, ვ. გვიჩიამ, ტ. მაკანტაძემ და კ. სტურუამ გაუგზავნეს ამხ. კარაევს წერილი, რომელშიც სწერდნენ:

„თქვენი ოჯახის წევრები ყველანი ჯანმრთელად არიან, კოლმეურნეობაში მუშაობენ. შარშან თქვენმა ცოლმა ნატალიამ კოლმეურნეობაში გამოიმუშავა 113 შრომადღე, შვილმა ნასტასიამ—200 და ანდრიამ—126 შრომადღე. ამ შრომადღეებზე მიიღეს 2.017 კილოგრამი ხორბალი, 546 კილოგრამი ქერი, 205 კილოგრამი სიმინდი, 240 კილოგრამი მზესუმზირა, აგრეთვე 3.000 მან. ფულად. თქვენს ოჯახს ჰყავს ძროხა, სამი ხბო, ქათმები და სხვ. უთანხლეს ხანებში მათ მომარაგებენ შეშით და სამრეწველო საქონლით, ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობაში. ეს საკითხი განიხილეს ხაქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა. სოფ. ყარაღაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ მალიანცი მოხსნილია სამუშაოდან. პარტრაიკომის ბიურო განიხილავს საკითხს მისთვის პარტიული სასჯელის დადების შესახებ.

ამხ. შ. ი. ფილიას დაჯილდოება

რკინიგზის მშენებლობის დარგში მთავრობისა და სამხედრო სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან თავდადებისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია რკინიგზის ჯარების და რკინიგზის ტრანსპორტის სამხედრო-საველმდგენო ორგანიზაციების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დიდი ჯგუფი. მათ შორის მედლით „**საბრძოლო დამსახურებისათვის**“ დაჯილდოებულია წითელარმიელი შოთა ოსეფის-ძე **ფილია.**

რთველი სიღნაღის რაიონის ლ. ბერიას სახელობის ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, მუშაობს კატო ლუაშვილის ბრიგადა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ილო. მოსაშვილი

სიხარულის რთველი

გულუხვი რთველი ძველებურად ავსილი კალათით შემოვიდა კახეთში, მარნების კარი მხიარულად გაიღო, დამუნჯებული ქვევრები გაღვიძა, ენა ჩაუდგა, ეზოებსა და ორღობეებში დატვირთული ურმები აეჩრიალა.

რქაწითლის დატკბილული მტევნების პირველი გატენილი გოდორი წელსაც ლ. ბერიას სახელობის „ხირსის“ დიდმა საბჭოთა ვენახმა შეიტანა საწნახელში.

შარშან მრავალდოელათიანი რთველი ჰქონდათ ხირსელებს, მერქანი წელში იღუნებოდა და ოთხპირი მავთული ძლივს უძლებდა დამძიმებულ ვაზებს, ოთხასი კაცი ორ თვესა ჰკრეფდა ვენახს და კრეფას ვერ ასწრებდა, მაგრამ თვითეულ მათგანის სახეს უთქმელი ნაღველი სჩრდილავდა, გულსაც ჯავრი აღონებდა: კავკასიონის ქედს ჯადაღმიდან ზარბაზნების გუგუნი მოდიოდა...

ჰკრეფდნენ ჩუმად, ხმა ამოუღებლად...

ეხლაც რთველია ხირსაში. კეთილ ნიადაგში გალაღებული ვაზები შარშანდელზე უფრო დატვირთულან და ქართველი კაკის პატრონსან შრომას უხვი საზღაურით ხვდებიან.

დღესაც რთველია ხირსაში და ყველა მკრეფელს, ყველა მუშისა, მეღვინისა და მევენახის გულშიც სიხარულის რთველია, რადგან სამამულო ომის მთელს უზარმაზარ ფრონტზე ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია ახალ-ახალი გამარჯვებებით მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ.

მთელი წლის მანძილზე მკლავდაუხრელად მუშაობდა ხირსელი მევენახეების მთელი კოლექტივი. ვაზის მოვლის დახელოვნებული ოსტატი აგრონომიკოსი გიორგი დარჩიაშვილი იმ შემოდგომიდან ამ შემოდგომამდე შეუნელებელი მოწადინებით უვლიდა თავის უბანს. ხირსის გამოჩენილმა აგრონომიკოსმა ქალებმა კატო ლუაშვილმა, თამარ ხუციშვილმა და თამარ ინანიშვილმა ღირსეულად შესცვალეს ომში წასული მევენახეები და თავისი ნაკვეთები მთელი მამულის სამაგალითო უბნებად აქციეს. ისინი დარში თუ ავდარში, დილაბნელიდან დაღამებამდე ვენახს არ ეხსნებოდნენ, თითო ვაზს გულმოდგინედ დასტრიალებდნენ, ნაადაგს უფხვიერებდნენ, სწამლობდნენ. ხირსელი მუშები ამაყად და სიყვარულით ახსენებენ იოსებ დოდაშვილის, დიმიტრი კრაპვინის, ოლია მამალაშვილისა და ნადია ნიკიფოროვას სახელებს, რომელნიც რა სამუშაოზედაც უნდა იყვნენ, ერთიორად და სამად ასრულებენ ყველა დავალებას.

და ეხლა ერთი საზრუნავი დარჩენიათ ხირსელ მევენახეებს: დროზე და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

ვენახში უბან-უბან გაშლილი მუშები კალათებით, გოდელებითა და გოდრებით შეესევიან ვაზებს. ვენახის მეორე მხარეს მეზობელ სოფლებიდან მოსული კოლმეურნე ქალები მოსდებიან და ჰირსავსე გოდრულებით სტვირთავენ ურმებსა და მანქანებს.

მწიფე ჯაგნებში გახვეული სირინოზ ქოქიაშვილი გიდელში თვალმოუვლები სისწრაფით ისვრის გაღუებულ მტევნებს: მოაი ხელები პატარა ჩიტებივით დაფრინავენ წალმიდან წალამზე და ზედიზედ სწყვეტენ აკიდოებს, რომ ამდენი ტვირთით დაზნექილმა ვაზებმა ეხლა მაინც დაისვენონ.

იგი სოფელ ქვემო ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრია, ამ ზაფხულს ორმოც დღეს ყანასა მკიდა, ასი დღეც თოხვასა და მარგვლაში იმუშავა, საკოლმეურნეო მოსავალი მშვიდობით დაამბინავა და ეხლა ხირსის მიწას მიაშველა მადლიანი ხელი.

სირინოზ ქოქიაშვილის ქმარი სამამულო ომშია, ერთ წელზე მეტია მისი აღარაფერი იცის, წამით უნებური სევდა მოეღრუბლავს სახეს, მაგრამ უმალვე გამოიდარებს, რადგან ხედავს—მტერზე საბოლოო გამარჯვების ეალმი მოახლოებულია. მალე—ომში წასულნი სიხარულით დაუბრუნდებიან ოჯახებს, მისი ქმარიც მალე გამოჩნდება სოფლის გზაზე. ოთხი პატარა შვილი შინ ამიტომ დაუტოვებია და ხირსაში მოსულა, რომ ნაომარ ქმარს თავისი მონაგარი პური და ღვინო დაახვედროს.

ორი კაცის საქმეს უძღვება ეს დაუზარელი ქართველი ქალი, ორჯერ სამას ორმოცდაათ კილოგრამ ყურძენს ყოველდღიურად უგზავნის იგი ხირსის გაუმძღარ მარანს, უსწრებს და წინ იყოლიებს დანარჩენ კოლმეურნე ქალებსა და მუშებს.

მარანიც შესდგომია საქმეს. მეღვინე ბიკენტი სირაძე ყურძნის წვენს ეხლავე ახარისხებს, ცალკე უნდა დადუღდეს კახური-სუფრული, ცალკე ევროპული და ბუნებრივად დაშაქრული მაგარი ღვინოები. მას ასორმოცდაათი ათასი ლიტრი ახალი მოსავლის ღვინო უკვე ჩაუყენებია ქვევრებში. უკვე აუმუშავებია არყისა და კონიაკის სპირტის სახდელი საამქროები, მალე შეუდგება ყურძნის თაფლის დამზადებასაც.

ხირსელ მევენახეებს შარშან ამ დროს მხოლოდ ათასი ცენტნერი ყურძენი ჰქონდათ მარანში შეტანილი, წელს უკვე სამი ათას ხუთასი ცენტნერი აქვთ და თუ მაშინ მათი ვენახის მოსავალმა საქართველოს ყველა ვენახს აჯობა, წელს მით უმეტეს არავის დაუთმობენ პირველობას, რადგან მეურნეობა ცნობილია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახკომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად.

მამულის მეთაურებმა შარშანდელზე ათი დღით ადრე დაიწყეს რთველი. ათი დღით ადრე მოამზადეს ტრანსპორტიც და ჭურჭელიც. ეხლა ყველაფერი მათს კარგს ელოდა დამოკიდებული—არც ერთი ვაზი, არც ერთი მტევანი და მარცვალი ავდარსა და უამინდობას არ გაატანონ.

სიხარულის რთველია ხირსაში. კახეთის მარნებსა და საწნახელებში რქაწითლისა და საფერავის რუვები დაძრულან... ჩვენი გმირი წითელი არმიის გამარჯვებებით გულგახსნილი ქართველი კაცი ახალი ღვინის პირველი სასმისით გზას ულოცავს ამ გამარჯვებას.

ალექსანდრე აბაშელი

შეგება

ვაუკაცობით ქებულნი, რისხვით აზავთებულნი,
მარად გულანთებულნი წმინდა შურისძიებით,
გააფთრებულ ურდოებს მედგრად დაგვახვედნენ
ჰეკა-გრგვინვით მიდიან ჩვენი დივიზიები.

მზის მხურვალე ბრწყინვაში, ისე, როგორც ყინვაში,
მტერს კვალდაკვალ მისდევენ, ულეტენ შეუსვენებლივ,
განუწყვეტლად გრიალებს ცეცხლი ჯავშან-რკინაში,
გრიგალივით მიჰქრიან დაჭედილი ცხენები.

მხეცთა ბინძურ ჩლიქებით ნატკეპნი და ნალახი
ჩვენი ტყე და ველები ჩვენს ჯარს ეგებებიან.
დანგრეული ქალაქი, გადამწვარი ბალახი,
გარუჯული ხეები თითქო მკვდრეთით დგებიან.

დაუნდობელ მტრის მიმართ რისხვით აზავთებულნი,
მარად გულანთებულნი წმინდა შურისძიებით,
წინ მიდიან გმირები, ვაუკაცობით ქებულნი,
მტერს უტევენ, მუსრავენ ჩვენი დივიზიები.

მათ წინ უძღვის დღე და ღამ კაცი უზარმაზარი,
როგორც ცხადი ჩვენება ცამდე ამაღლებული,
სინათლეში ირხევა კალთა ნაცნობ მაზარის,
დროშასავით ფრიალებს სხივით გაბრწყინვებული.

გმირებს ფრთები შეასხა მოელვარე ფარაჯამ,
ჯარში ისმის გუგუნი: „აგერ, ხედავთ? ის არი!
წინ მიგვიძღვის ბრძოლაში, ჩვენთან არის მარადჟამ,
ჩვენი გულის ძგერასთან გულით შენამტკიცარი!“

ცეცხლის ზოლი ანათებს კვამლის მაღალ მწვერვალებს,
მოძალადე ძლეული დაღმა მიექანება.
დასავლისკენ გაწვდილი ხელი ცაზე ელვარებს,
ქუხილივით გაისმის მხედართმთავრის ბრძანება.

უფრო გამხნევებულნი, უფრო აზავთებულნი,
უფრო გულანთებულნი წმინდა შურისძიებით,
უკუქცეულ ურდოებს მედგრად დაგვახებულნი
წინ მიდიან უშიშრად ჩვენი დივიზიები.

სექტემბერი. 1943 წ.

„მისია მოსკოვში“

ფილმი „მისია მოსკოვში“ დადგმულია ამერიკაში ჯოზეფ დევისის წიგნის მიხედვით. 1937-38 წლებში ევროპასა და საბჭოთა კავშირში რუზველტმა სპეციალური მისიით გამოგზავნა ჯოზეფ დევისი. ეს ის დრო იყო, როცა საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლა ჟენევაში უშედეგოდ დამთავრდა. მსოფლიო ახალი საშინელი ომის წინაშე იდგა. დევისის მისია იმაში მდგომარეობდა, რომ ერთის მხრივ გამოერკვია გერმანიის ზრახვები და მეორე მხრივ შეესწავლა საბჭოთა კავშირი, მისი პოლიტიკა, ეკონომიური და სამხედრო შესაძლებლობანი. დევისმა შემოიარა მთელი ევროპა. დაწვრილებით გაეცნო საბჭოთა კავშირს. თავისი მოგზაურობა მან ასწერა წიგნში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკაში.

ფილმი მხატვრულია იმდენად, რამდენადაც დევისის წიგნში აღწერილი ნამდვილი ამბები სურათში გათამაშებულია მსახიობების მიერ. თვით დევისი მხოლოდ ფილმის წინ გამოჩნდება ეკრანზე მოკლე შესავალი სიტყვით, შემდეგ კი მის როლსაც მსახიობი ასრულებს.

ფილმი აგვიწერს დევისის ჩასვლას ფაშისტურ გერმანიაში, მოგზაურობას საბჭოთა კავშირში და შეხვედრებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. ფილმი გვიჩვენებს საბჭოთა მთავრობის მიერ შეშმის აგენტების ტროცკისტების გამოშიკარავებას და დაპატიმრებას. ეკრანზე საკმაოდ დაწვრილებით არის ნაჩვენები ტროცკისტ-ბუხარინელი ავანტიურისტების გასამართლების პროცესი. ფილმი თავდება თანამედროვე ომის დაწყებით. მოთხრობილია, როგორ გამოდიოდა დევისი მრავალრიცხოვან მიტინგებზე და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი იარაღს არ დაჰყრის, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ არის დაკავშირებული ხალხთან და შესწევს ძალა არა მარტო გაუძღოს გერმანიის მოძალებას, არამედ დაამარცხოს კიდეც ჰიტლერელთა არმიები.

ფილმში ბევრი ნაცნობი სახე გვხვდება. ამერიკელი მსახიობები მათ თავისებურად ანხორციელებენ, მაგრამ ეტყობა ფილმის ავტორები არ ისახავდნენ მიზნად პორტრეტული მსგავსების მიღწევას. საერთო ხედი და პანორამები აღებულია საბჭოთა კინოქრონიკებიდან. ფილმი დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც ჩვენი ქვეყნისადმი ამერიკელების დამოკიდებულების გამოშიტველი დოკუმენტი.

საბჭოთა მაყურებელი დიდი ყურადღებით ნახავს ამ საინტერესოდ გაკეთებულ ფილმს, რომელიც ახლა თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე მიდის.

ბ. რიონელი

სამამულო ომის მშენებლობანი

გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ეოლგის მარჯვენა ნაპირის რაიონში ახალი რკინიგზებისა და ჩრდილოეთ-პეჩორის რკინიგზის მშენებელთა დაჯილდო